უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 22.02.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
ალექსანდრე ცისკარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნანა შარიქაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
მაგდა მაღრაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - „საქართველო" (MCA - Georgia) აღმასრულებელი დირექტორი;
ნოდარ შურღაია - შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთი ცოტნიაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
მარიამ ღამბაშიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თინათინ დვალიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

სოფიო ვასაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ანანო გიორგაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო მეგრელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი.

სხვა დამსწრე პირები:
ვარლამ ავალიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ია ერაძე - დაწესებულების დირექტორი;
შორენა ხუბუნია - დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
ნინო მილაშვილი - ვეტერინარიისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;
ლელა თვარაძე - იურიდიული სამსახურის უფროსი;
ელისაბედ ბალიაშვილი - ბიზნესის მართვისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
ეთერ ჭაჭუა - მოწვეული პედაგოგი;
ანტონინა მსხილაძე - მოწვეული პედაგოგი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ქეთევან ბოტკოველი;
ბარბარე გონაშვილი;
მარინა გედევანიშვილი;
ელენე ჯიბლაძე;
გიორგი მელაშვილი;
თეონა ჟუჟუნაძე;
მაია შიშნიაშვილი;
ნიკოლოზ ფარჯანაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:34 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია, ასევე, მონაწილეობდეს საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული პირი. საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მიმდინარე სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებდა პროფესიული განათლების ექსპერტი ვარლამ ავალიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
2. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი მიღებული ინფორმაციის შეფასების შედეგად მიიჩნევდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შემთხვევაში, დაწესებულების ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსი იყო ადეკვატური.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამ განაპირობა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში არსებულ პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის შემცირება და ამასთანავე, რის საფუძველზე გადაწყვიტა დაწესებულებამ ახალი პროფესიული პროგრამების დამატება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ტურიზმის მიმართულებით პროფესიული პროგრამის დამატების საკითხის განხილვისას მათ იხელმძღვანელეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2015 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მონაცემებით, რომელშიც ერთ-ერთ მოთხოვნად პროფესიად დასახელებული იყო გიდის კვალიფიკაცია. ხოლო ფინანსების მიმართულებით, მათი განმარტებით, დაწესებულება 2012 წლიდან ახორციელებდა ბანკის ოპერატორის პროგრამას, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ 2019 წლის 1 იანვრიდან საგნობრივი პროგრამები უქმდებოდა, დაწესებულებამ მიიღო ფინანსების მოდულური პროფესიული პროგრამის დამატების გადაწყვეტილება.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა, თავად თუ ჩაატარა დაწესებულებამ შესაბამისი კვლევა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ტურიზმის პროგრამის მიმართულებით მათ ჩაატარეს დამსაქმებლების კვლევა, რის შედეგადაც დადასტურდა გიდის კვალიფიკაციის მქონე კადრების საჭიროება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რომელ კომპანიებთან ჰქონდა დაწესებულებას გაფორმებული მემორანდუმი და შეხვდნენ თუ არა მათ ექსპერტები.

ექსპერტთა განმარტებით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი 15-მდე კომპანიასთან. ვიზიტის პერიოდში მათ ჰქონდათ შეხვედრა შპს „გუდვილსა“ და შპს "კონკორდ თრეველთან". ორგანიზაციების დათვალიერებისას დადგინდა, რომ დაწესებულებები უზრუნველყოფილია მოდულის განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობითა და შესაბამისი მატერიალური ბაზით. ასევე, ექსპერტთა განცხადებით, კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრისას დადასტურდა სტუდენტთა, როგორც პრაქტიკაზე მიღების, ასევე სამომავლო დასაქმების მზაობა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, კურსდამთავრებულთა რამდენი პროცენტი იყო დასაქმებული. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, მათი კურსდამთავრებულთა 70% დასაქმებულია. აღნიშნული დასტურდებოდა კურსდამთავრებულთა დასაქმების ბაზით, რომელსაც დაწესებულება მუდმივად ანახლებდა. ამასთან, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით, დაწესებულება წელიწადში 2-ჯერ ატარებდა დასაქმების ფორუმს.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას გამოყოფილი პრაქტიკის ხელმძღვანელი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პრაქტიკის ობიექტი ყოველთვის გამოყოფდა ხელმძღვანელს, თუმცა, აღნიშნული პროცესი იყო დასახვეწი და ამ მიმართულებით მიმდინარეობდა მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი სტუდენტი ჰყავდა ამჟამად დაწესებულებას საბაკალავრო და პროფესიულ პროგრამებზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში ირიცხებოდა 60 ბაკალავრიატის და 120 პროფესიული პროგრამის სტუდენტი.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა, რამდენ მოდულურ პროგრამას ახორციელებდა დაწესებულება და რამდენად საკმარისი იყო მათ მიერ გამოყოფილი აუდიტორიები A და B ფართის გასამიჯნად ყველა პროგრამისთვის.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 4 მოდულური პროგრამა. მათი განცხადებით, 2 ახალი პროგრამის დამატების შემთხვევაშიც მათ მიერ გამოყოფილი აუდიტორიები საკმარისი იქნებოდა A და B ფართის გასამიჯნად.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა, თუ რამდენად იყო დაწესებულებაში სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, დაწესებულებაში სრულად იყო უზრუნველყოფილი სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო. ასევე, გაფორმებული იყო მემორანდუმი საქართველოს უსინათლოთა კავშირთან, რომელიც სპეციალური აპარატურით აღჭურვილ სტუდიაში უზრუნველყოფდა სასწავლო და მხატვრული მასალების ჩაწერას აუდიო მატარებლებზე. ამასთან, დაწესებულებაში სმენადაქვეითებულთათვის ხელმისაწვდომი იყო სასწავლო მასალები, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით. დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ისეთ პირებთან, რომლებსაც შეეძლოთ კომუნიკაცია სმენადაქვეითებულ ადამიანებთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ მოიპოვა დაწესებულებამ „ევროპული ნიშნის სერთიფიკატი". დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, 1 წლის განმავლობაში დაწესებულება ფასდებოდა სტარტეგიული განვითარების მიხედვით და ექსპერტთა შემოწმების შედეგად 2015 წელს მოიპოვა აღნიშნული სერტიფიკატი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ფლობდა თუ არა დაწესებულება „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის" გრანტს. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, სამეწარმეო მოდულების შემუშავებისთვის მათ მოიპოვეს მცირე გრანტი.

საბჭოს წევრი, რამაზ საყვარელიძე, დაინტერესდა, საბაჟო მოდულის სწავლებისას რამდენად იყენებდა დაწესებულება სიმულაციური სწავლების სისტემას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ყველა სასწავლო პროგრამის სწავლების პროცესში ძალიან დიდი როლი ეკავა შესაბამის პრაქტიკულ/სიმულაციურ სწავლებას.

საბჭოს წევრი, ირაკლი ღარიბაშვილი, დაინტერესდა დაწესებულების საბიბლიოთეკო ფონდის მდგომარეობით. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ბიბლიოთეკა სრულად აკმაყოფილებდა მოთხოვნილ სტანდარტებს.

საბჭოს წევრი, ნანა შარიქაძე, დაინტერესდა თუ რა იყო დაწესებულების სუსტი და გასაუმჯობესებელი მხარე. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, მათი სუსტი მხარე იყო პროფესიული სწავლების არაპოპულარობა და ასევე, დაწესებულების ადგილმდებარეობა.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 18:18 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა18:28 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის მიერ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის მიერ საფინანსო სერვისების მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია (კოდის მითითებით)	სწავლების ენა	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
1	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	მეხუთე	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის	ქართული	115	145	60	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22

			პროფესიული კვალიფიკაცია 112063					
2	საფინანსო სერვისები	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 020456	ქართული	55	70	50	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი მაგდა მაღრაძე.

2. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარემ, ელენე ჯიბლაძემ. ექსპერტის განმარტებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეფასდა ავტორიზაციის ძველი სტანდარტებით, რადგანაც დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2017 წლის 11 და 12 დეკემბერს. იმ დროისთვის არსებული რეგულაციებით კი, 2018 წლის 1 იანვრამდე განხორციელებული მონიტორინგის შეფასებები უნდა მომხდარიყო ავტორიზაციის ძველი სამი სტანდარტით. ექსპერტმა წარადგინა ის ძირითადი მიგნებები, რომლებიც დაფიქსირდა ავტორიზაციის თითოეულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისას.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი მიღებული ინფორმაციის შეფასების შედეგად მიიჩნევდა, რომ შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ავტორიზაციის ორი სტანდარტი - **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** და **უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** არ იყო შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტი - **უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** - შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას დეტალურად წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს და ასევე, განაცხადა, რომ საბჭოს წევრები იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა, თუ რა ტიპის ხელშეკრულება ჰქონდა დადებული დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტებთან.

ექსპერტთა განმარტებით, დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმები. მაგ.: ვეტერინარიისა და ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამების მიმართულებით სტუდენტები პრაქტიკას გადიოდნენ რამდენიმე ობიექტზე. ექსპერტთა განმარტებით, მემორანდუმებიდან არ ჩანდა, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა პრაქტიკის ობიექტს, ამასთან, არ იყო იდენტიფიცირებული პასუხისმგებელი პირები და არ იყო გაწერილი შესაბამისი ბიუჯეტი.

ამასთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან საუბრისას გაირკვა, რომ პირველ ეტაპზე ისინი უზრუნველყოფენ 3-4 სტუდენტის პრაქტიკას, თუმცა, სტუდენტთა მზარდი რიცხვის შემთხვევაში, მათ არ ექნებოდათ შესაძლებლობა, შეეთავაზებინათ პრაქტიკა.

ინგლისური ფილოლოგიის და ინგლისური ლინგვისტიკის მიმართულებით, დაწესებულებას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული შპს „კემბრიჯ-კოლეჯთან", თუმცა, ამ დრომდე, არცერთ სტუდენტს არ გაუვლია პრაქტიკა.

რაც შეეხება ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, ამ მიმართულებით დაწესებულებას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული სს „საქართველოს ბანკთან". ექსპერტთა განმარტებით, აღნიშნულ კომპანიის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სტუდენტი საწარმოო პრაქტიკის მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპის გავლას შეძლებდა. ამასთანავე, სილაბუსით გათვალისწინებული დავალებები იმდენად რთული იყო, რომ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს არ ექნებოდა შესაბამისი ცოდნა და უნარი, ხოლო პრაქტიკის ობიექტს გაუჭირდებოდა შესაბამისი პრაქტიკის უზრუნველყოფა.

ლაბორატორიებისა და ქირურგიული ოთახის მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ დაწესებულებაში ქირურგიული ოთახის მოწყობამდე, ვეტერინარიის მიმართულების სტუდენტები პრაქტიკულ სამუშაოებს გადიოდნენ 16 პრაქტიკის ობიექტსა და 6 აფილირებულ კლინიკაში. ამასთანავე, მათი განმარტებით, დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია სანათის დამატებასა და ქირურგიის ოთახის გადაღებვასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ქიმიის ლაბორატორიას, დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, აღნიშნული ლაბორატორიები სრულიად შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს. უსაფრთხოებასთან მიმართებით, ლაბორატორიის წარმომადგენელთა განმარტებით, ლაბორატორიაში დაცული იყო უსაფრთხოების ყველა ნორმა. კერძოდ, ლაბორატორიული სამუშაოების დაწყებამდე, სტუდენტები ეცნობოდნენ უსაფრთხოების წესებს და ხელმოწერით ადასტურებენ აღნიშნულს. მათი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ თვალების გამოსარეცხი ონკანი ლაბორატორიაში არ იყო, ყველა სტუდენტს ჰქონდა ინდივიდუალური სათვალე.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე, დაინტერესდა, თუ რამდენ სტუდენტზე იყო გათვლილი ლაბორატორია და რამდენად იყო ადაპტირებული სსსმ პირებისთვის. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ლაბორატორიაში სამუშაოების ჩატარება ერთდროულად 15 სტუდენტს შეეძლო, სპეციალური მაგიდები სსსმ პირებისთვის არ იყო უზრუნველყოფილი.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გამოკითხვის სისტემის დახვეწასთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და აკადემიური საბჭოს რეკომედაციებით შემუშავებული იყო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წესი, რომელიც მოიცავდა აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის ფორმებსა და საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების ფორმას. დაწესებულების მხრიდან ზედმიწევნით იყო შესწავლილი თითოეული გამოკითხვის ბარათების ანალიზი (2013-2017 წლებში) და მათ მიხედვით შემუშავებულია რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარების მიზნით.

საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სირბილაძემ, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაესახელებინათ ერთი ცვლილება, რომელიც გამოკითხვის ბარათების ანალიზის საფუძველზე იქნა შეტანილი პროგრამაში. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ერთ-ერთი ცვლილება შეეხო საკონტაქტო საათებს.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა, საკონტაქტო საათების ცვლილების შედეგად თუ შეიცვალა კრედიტების მოცულობა. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ კრედიტები შეიცვალა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, გაეცნენ თუ არა ექსპერტები აღნიშნულ ცვლილებას. ექსპერტთა განმარტებით, ვიზიტის პერიოდში აღნიშნულ ცვლილებას ისინი არ გაცნობიან.

ამასთანავე, მათი განმარტებით, კითხვაზე, თუ როგორ იქცეოდა დაწესებულება, როდესაც ლექტორის შეფასება სტუდენტთა მხრიდან იყო უარყოფითი, მათ მიიღეს პასუხი, რომ სტუდენტების მხრიდან კითხვარების შევსება ხდებოდა ზერელედ, შესაბამისად, მათი გამოკითხვის შედეგები არ იყო სანდო.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, სტუდენტები აღნიშნული კითხვარების შევსებისას დასმულ კითხვებზე პასუხის დროს იფარგლებოდნენ პასუხების შემოხაზვით (სავარაუდო პასუხები) და არა ვრცელი/წერილობითი სახით, შესაბამისად, აღნიშნული არ იძლეოდა რეალური სურათის დანახვის შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს აეხსნათ, თუ ვინ იყვნენ სტრატეგიული გეგმის შედგენაში ჩართული და როგორ მიმდინარეობდა მისი შედგენა. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ დაგეგმარების პროცესში ჩართული იყო ყველა სტრუქტურული ერთეული, მათ შორის სტუდენტები და დამსაქმებლები. დაგეგმარების პროცესთან დაკავშირებით საბჭომ კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების 2018 წლის ბიუჯეტით. მისი განმარტებით, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა მხოლოდ 2016-2017 წლების შემოსავლებისა და ხარჯების დოკუმენტი, ასევე, 2018 წლის ბიუჯეტი ნარატიული სახით, რომელიც 2017 წლის 23 იანვარს იყო დამტკიცებული. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ვიზიტის პერიოდში ექსპერტებს არ მოუთხოვიათ 2018 წლის ბიუჯეტი, ხოლო არსებულ ნარატიულ დოკუმენტში, მათი განმარტებით, ტექნიკური ხარვეზია და მასში არ იყო წარმოდგენილი 2018 წლის ბიუჯეტი. ექსპერტთა განცხადებით, ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ 2016-2017 წლების შემოსავლებისა და 2016 წლის ხარჯების ცხრილი.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა დაწესებულების სამეცნიერო კვლევითი აქტივობებით. მისი განმარტებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში სამეცნიერო კვლევითი აქტივობები არ იყო კონკრეტული შინაარსის, ამასთანავე, ერთ-ერთ აქტივობად დასახელებულია საუნივერსიტეტო გაზეთის გამოცემა. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით დაწესებულებაში დაფუძნდა კვლევითი ცენტრი. კონკრეტული აქტივობები, რომელიც დაგეგმილი იყო აღნიშნული ცენტრის ფარგლებში, დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან საბჭოს სხდომაზე ვერ დასახელდა.

საბჭოს თავმჯდომარე, დაინტერესდა, თუ რა თანხა იყო გამოყოფილი სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისთვის. დაწესებულების მოწვეული პროფესორის განმარტებით, ამ კომპონენტში კონკრეტული თანხა ჯერჯერობით არ იყო გაწერილი. თუმცა, ფინანსური კონსულტანტის, გიორგი მორშოლაძის, განმარტებით სამეცნიერო კვლევითი აქტივობებისათვის დაწესებულების კომპონენტში გათვალისწინებული იყო 41 200 ლარი. მისი განცხადებით, აღნიშნული თანხა გამოყოფილ იქნა წინა წლების გამოცდილების მიხედვით. 2017 წელს აღნიშნული მიზნებისთვის დაახლოებით 15 000 ლარი იყო გამოყოფილი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რაში გაიხარჯა აღნიშნული თანხა. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, 2017 წლის ნოემბერში დაწესებულებამ ჩაატარა ბაქტერიოფაგის 100 წლისათვის მიძღვნილი კონფერენცია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად გამოიყენებოდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობასა და დაწესებულების მართვაში. ექსპერტთა განმარტებით, ვიზიტის პერიოდში მხოლოდ კანცელარიის მართვის (ელექტრონული საქმისწარმოება) სისტემა მუშაობდა სატესტო რეჟიმში. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, ამჟამად სატესტო რეჟიმში მუშაობდა სტუდენტთა ელექტრონული მართვის სისტემაც.

საბჭოს წევრი, მაკა გველესიანი, დაინტერესდა, ელექტრონული მართვის სისტემის ამოქმედებამდე, რა სახით ხდებოდა სტუდენტთათვის ინფორმაციის მიწოდება. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, თითოეულ პროგრამას ჰყავდა კოორდინატორი, რომელიც ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სტუდენტებს აწვდიდა ყველა საჭირო ინფორმაციას - მაგ. ცხრილებს, შეფასებებს.

ვებ-გვერდთან მიმართებით საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ინფორმაცია არ არის განახლებული, კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შეიცვალა 2017 წლის ნოემბერში, თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია ვებ-გვერდზე არ იყო დაფიქსირებული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობის საკითხით. ექსპერტთა განმარტებით, სტუდენტებთან გასაუბრებისას არჩევანის გამჭვირვალობა არ დადასტურდა, კერძოდ, სტუდენტთა განცხადებით, პროგრამა სრულად იყო გაწერილი, ცხრილი წინასწარ დგებოდა ადმინისტრაციის მიერ და მათ არ ჰქონდათ სხვადასხვა კურსის არჩევის შესაძლებლობა. ამასთანავე, ისინი არ ფლობდნენ ინფორმაციას, თუ როგორ შეიძლებოდა დაეგეგმათ და აერჩიათ სასურველი კურსები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, სემესტრის დასაწყისში კოორდინატორი ატარებდა ჯგუფურ შეხვედრას სტუდენტებთან და აცნობდა პროგრამას. ამასთანავე, საგნების არჩევა ხდებოდა ზეპირსიტყვიერად.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, შეძლებდნენ თუ არა ბაკალავრიატის სტუდენტები ინგლისურ ენაში C1 დონის დაძლევას. ექსპერტთა განცხადებით, სტუდენტები ვერ შეძლებდნენ C1 დონის დაძლევას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტები, წარმოდგენილი პროგრამების მიხედვით, უნდა დაუფლებოდნენ ერთსა და იმავე დონეს.

საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა ექსპერტთა დასკვნაში ხაზგასმული მოძველებული ლიტერატურის საკითხით. ექპერტთა განცხადებით, სასწავლო პროცესში, კერძოდ, ზოოლოგიის პროგრამაზე გამოიყენებოდა 1989 წელს გამოშვებული წიგნები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული წიგნები წარმოადგენდა ვალიდურ სახელმძღვანელოებს, ამასთანავე, აკადემიური პერსონალი კურსის მსვლელობისას იყენებდა დამატებით ლიტერატურას და სტუდენტები დამოუკიდებლად ეცნობოდნენ სიახლეებს.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე, დაინტერესდა, ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიის პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოებით. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ყველა ლაბორატორიული სამუშაო ტარდებოდა შპს „იმუნოგენში". ამასთანავე, მათი განცხადებით, თუკი დაწესებულებას შეუნარჩუნდებოდა ავტორიზაციას, მოეწყობოდა ლაბორატორიები, სადაც სტუდენტები შეძლებდნენ ყველა შესაბამისი სამუშაოს ჩატარებას.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე, დაინტერესდა, თუ ნახეს ექპერტებმა აღნიშნული ლაბორატორიები და რამდენად აკმაყოფილებდა ის სასწავლო მოთხოვნებს. ექსპერტთა წევრის განმარტებით, შპს „იმუნოგენი" იყო კვლევითი დანიშნულების ლაბორატორია, ხოლო სასწავლო დანიშნულებით მისი გამოყენება ერთდროულად შეეძლო ჯამში მხოლოდ 3-4 სტუდენტს. ექსპერტის განცხადებით, ასევე მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ ვინ ანაზღაურებდა სტუდენტების მიერ ჩატარებული ლაბორატორიული სამუშაოების ხარჯებს. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ხარჯები დაფინანსებული იყო ლაბორატორიების მხრიდან. საბჭოს წევრთა და ექსპერტთა განცხადებით, აღნიშნული ფაქტი სტუდენტთა მზარდი რაოდენობიდან გამომდინარე, ეჭვქვეშ აყენებდა მის სტაბილურობას.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე, დაინტერესდა თუ რამდენად იყო დაწესებულებაში სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით,

დაწესებულებაში სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო წინა ავტორიზაციის პერიოდში სრულად აკმაყოფილებდა მოთხოვნილ სტანდარტებს, ხოლო ახალი სტანდარტების მიხედვით დაწესებულება ითვალისწინებდა ახალ მოთხოვნებს, მაგალითად, მათ უკვე გათვალისწინებული ჰქონდათ ექსპერტთა შენიშვნა მეტალოპლასტმასის კარის ზღურბლთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, მაკა გველესიანი, დაინტერესდა, თუ როგორ ახერხებენ აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები ქართულენოვან პროგრამაზე სწავლას. მისი განმარტებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ქართული ენის გამოცდის ენის ტესტი იყო ძალიან მარტივი და მისი ჩაბარება არ ნიშნავდა, რომ სტუდენტი შეძლებდა ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე სწავლებასა და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, სტუდენტები, რომლებიც აღნიშნულ ტესტში დამაკმაყოფილებელ შეფასებას მიიღებდნენ, სწავლის პარალელურად ესწრებოდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებს. კითხვაზე, თუ რატომ არ ირიცხებოდნენ აღნიშნული სტუდენტები ქართული ენის მომზადების 1-წლიან პროგრამაზე, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აღნიშნული პროგრამა განკუთვნილი იყო მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის.

ექსპერტთა განმარტებით, აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებთან შეხვედრისას მათ დააფიქსირეს, რომ სტუდენტებს უჭირდათ ქართულენოვან პროგრამაზე სწავლა და სასწავლო მასალად იყენებდნენ რუსულენოვან ლიტერატურას. აღნიშნული ფაქტი დაწესებულების წარმომადგენლებმა არ დაადასტურეს.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 20:38 საათზე
საბჭოს სხდომა განახლდა 21:04 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 200008650) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარის, დავით აფრასიძის განმარტებით, საბჭოს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: არ დასტურდებოდა, რომ დაწესებულებას ჰქონდა გამართული და გამჭვირვალე საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესი. ამასთან, საბჭომ ვერ დაინახა, რომ სასწავლო

უნივერსიტეტიში სტრატეგიული მართვა და დაგეგმვის პროცესი იყო ეფექტიანი და ემსახურებოდა საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებას. საბჭო ვერ დარწმუნდა, რომ ხარისხის მართვის შიდა მექანიზმები იყო გამართული და ეფექტიანი. ამასთან, არ დასტურდებოდა კვლევების დაფინანსება; არ დასტურდებოდა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიები გამოიყენებოდა საგანმანათლებლო საქმიანობაში და ორგანიზაციის მართვაში, მათ შორის ვებგვერდი ვერ ასრულებდა თავის ფუნქციებს; მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს არ დასტურდებოდა, რომ ლაბორატორიები და პრაქტიკის მექანიზმები სტუდენტებისთვის იყო უზრუნველყოფილი, რაც ეჭვქვეშ აყენებდა საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობას და სწავლის შედეგების მიღწევას; ვიზიტის დროს გარემო არ იყო სტანდარტებთან შესაბამისად ადაპტირებული; გარდა ამისა, არაქართულენოვანი სტუდენტების შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების წინაპირობების გამო, არსებობდა სერიოზული საფრთხე და ეჭვი, რომ ისინი ვერ შეძლებენ სწავლის შედეგებზე გასვლას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 21:15 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი